შინაარსი

▪ ბაზრობის ტერიტორიაზე მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენა

ცვლილება ბრძანებაში

ბაზრობის ტერიტორიაზე მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენა

2024 წლის 15 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №80, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 39[5] მუხლი, რომელიც ეხება ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. კერძოდ, განისაზღვრა, რომ პირი, რომელიც ახდენს ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტის და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით (მათ შორის, ქვეიჯარით) გაცემას, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონულად წარუდგინოს ინფორმაცია ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა (მათ შორის, ქვემოიჯარეთა) შესახებ, რომლებზეც სტაციონარული სავაჭრო ობიექტი ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილი იჯარით/ქვეიჯარით გაცემულია ერთ კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ცვლილებამდე ზემოაღნიშნული მეიჯარეების მიმართ უკვე განსაზღვრული იყო როგორც ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მიღების, ასევე ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება. ცვლილების თანახმად, აღნიშნულ პირებს უფრო დეტალური ინფორმაციის წარდგენა მოუწევთ ბაზრობის ტერიტორიაზე მოიჯარე პირების შესახებ და ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია წარედგინება ელექტრონულად. ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნის მიზნით მომხმარებლის ავტორიზებულ გვერდზე eservices.rs.ge მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.

ცვლილების შედეგად ასევე გაიზარდა წარსადგენი ინფორმაციის არეალი. კერძოდ, ბაზრობა ვალდებულია არაუგვიანეს სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა წარადგინოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მეიჯარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი
- ბაზრობის საფირმო სახელწოდება
- მიწის საკადასტრო კოდ(ებ)ი და შესაბამისი მისამართ(ებ)ი
- სტაციონარული და არასტაციონარული ობიექტების რაოდენობა
- ინფორმაცია მოიჯარისა და ქვემოიჯარის შესახებ, მათ შორის: დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, ფიზიკური პირის შემთხვევაში - ინფორმაცია მოქალაქეობის შესახებ

- მოიჯარის/ქვემოიჯარის საქმიანობის სახე
- იჯარით/ქვეიჯარით გაცემული ობიექტის ფართობი (კვ.მ) და ტიპი
- იჯარის/ქვეიჯარის ხელშეკრულების ნომერი, თარიღი, თანხა ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულების დაწყვების, დასრულების, ცვლილების და შეწყვეტის თარიღი
- შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა შემადგენლობაში ცვლილების (ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის) შემთხვევაში ბაზრობა ვალდებულია ზემოთ ხსენებული ინფორმაცია ყოველთვიურ რეჟიმში წარადგინოს იმავე ვადაში (მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვი).

გარდა ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარისთვის დაწესებული ვალდებულებებისა, ახალი ვალდებულება დაუწესდათ ბაზრობის ტერიტორიაზე არსებულ მოიჯარეებსაც (ქვემოიჯარეებსაც). კერძოდ, მოიჯარის/ქვემოიჯარის მიერ ბაზრობაზე (ბაზრობის ტერიტორიაზე) იჯარით აღებული სტაციონარული სავაჭრო ობიექტის/არასტაციონარული სავაჭრო ადგილის ქვეიჯარით გაცემის შემთხვევაში, მოიჯარე/ქვემოიჯარე ვალდებულია, ქვეიჯარით გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნულის შესახებ აცნობოს ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარეს საგადასახადო ორგანოში ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის მიზნით.

მოგეხსენებათ, ბაზრობა (ბაზრობის ტერიტორია) არის პირის ან /და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც საქონლის სარეალიზაციოდაა განკუთვნილი.

ასევე, ცვლილების შედეგად აღნიშნული ბრძანების 112-ე გარდამავალი დებულებების მუხლს დაემატა ახალი 69-ე პუნქტი, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ პირი, რომელიც სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას ახორციელებს ბაზრობის ტერიტორიაზე და აღნიშნული საიჯარო ურთიერთობა წარმოშობილია 2024 წლის 1 აპრილამდე, ვალდებულია ზემოთ ხსენებული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 აპრილიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებას ბრძანებაში, რომელიც უკავშირდება ბაზრობის ტერიტორიაზე მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.
გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.